

ივერი

გაზეთის დასაყვედურად და კერძო განცხადებათა დასაბუქად უნდა მიჰქმარონ: თვითონ რედაქციის, ახალ-ბეზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავრდოვი ს. საგაზეთოს, ცენტრალურს ტ. გრიგოლის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთის ღირსი:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერი“ 1-ლის ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 30 ივნისი

ჩვენს გაზეთში ამას წინადა კორრესპონდენციის იყო დაბეჭდილი ბათუმში და ადგილობრივი იყო სხვა-და-სხვა შევიწროება საბაქოს მოხელეთაგან. რასაკვირველია, ბუკრინი ამისთანა თვით კანონის მიერ მიჩნეულ წესების ბრალი იყო, ხოლო ზოგი — თვით მოხელეებისა. ბათუმის საბაქო გამგეობა ცოტა არ იყოს დაგვიმდურა ამ კორრესპონდენციის გამო და ჩვენს კორრესპონდენტსაც ტყუილი შესწავა. არ გასულა ამის შემდეგ ერთი-ორი კვირა და ახლა მოსკოვის გაზეთში დაიბეჭდა კორრესპონდენციის იმავ საგანზედ და ამით სიმართლე ჩვენის კორრესპონდენტისა თითქმის სიტყვა-სიტყვით დამტკიცდა. ესაა ხომ თვითონ მთავრობამაც გამოაცხადა, რომ ევ შევიწროებანი მართლად არსებობ-

დნენ და სხვათა შორის იგინიც შეიქმნენ მიზეზად, რომ დღეს მთავრობამ საჭიროდ დაინახა, — ეგრედ-წოდებული „პორტო-ფრანკო“ მოსკოს სამუდამოდ ბათუმში. დეპუტატმა 27-ის ივნისიდან ვაქცნობა ეს ამბავი და დღეს „პორტო-ფრანკო“ გაუქმება უკვე უფიცილი და მომხდარი ამბავია.

რა მნიშვნელობა ჰქონდა პორტო-ფრანკოს ბათუმისას პოლიტიკაში, — მაგის გამოკვლევას, ჩვენსა სამუშაოდ, ვერ გამოვუდგებით ისე, როგორც სასურველია. რად იყო დაწესებული? ვის უნდადა, რომ ევ უფიცილიყო? რად უნდადა? — უოველივე ეს საკუთარდებობა საკითხავებია, მაგრამ განა ქვეყანაზედ ცოტა რამ არის სხვა უფრო საკუთარდებობაც, რომელსაც განებისა და ხელის გაწვევდა არა ნაკლებ უნდა!.. ამ მხრით ცოტაოდნად განათლება საგნისა შეუძლიან 28-ის ივნისიდან მოსკოვს დეპუტატს. ინგლისური გაზეთი „Times“ გულ ამდგრეულად ღაპარაკობს ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებაზედ და იქაღის, რომ ინგლისიც თავის მხრივ საპოლიტიკოს გავიხდის, შეკრავსაც ოსმალე-

თის წყლებს სრუტეებს საომარის ხომალდებისათვის.

ჩვენ რომ ჩვენის საკუთარის ქვეყნის ინტერესებით შევხედოთ ამ გაუქმების საქმეს, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არც პორტო-ფრანკოს უფუნას მოჰქონდა ჩვენთვის სარგებლობა და არც მისი არ-უფუნა ზარალს მოგვიტანს. რა იყო ის პორტო-ფრანკო? ვისთვის იყო? ბათუმში შეიძლოა უბაქოდ შემოტანა საქონლისა და გატანა კი უბაქოდ არ შეიძლება. ვისთვის რა ხიერი იყო? ორიოდ ვაჭარისათვის და თვით ბათუმში მცხოვრებთათვის, სხვას არავის აქედამ არც რეგება ჰქონდა, არც გამოჩინა. შეწუხება კი ბევრი იყო ბათუმის გარშემო მოსახლე მცხოვრებთათვის და ბათუმში გზად მიმავალ- მომავალისათვის. ქაღალაქიდან ორ ნაბიჯზედ შორს ფენის გადადგმა არ შეიძლება ისე, რომ საბაქო მშვერავთა ხელში არ ჩავარდნილიყო კაცი, ერთი დავიდარება არ ასტეხობდა, აქედ-იქით არ ეთრივებო, მინამ ნების მიიღებდა ბათუმშია ცაქცილისა. ათას ნაირი ჩივილი, სამდურავი, საუკვედური,

ავად-ხსენება, ზოგი მართალი, ზოგი ტყუილი, ტყუილ-უბრალოდ გულს უმდგრევენდნენ როგორც თვითონ მოხელეებს, ისეც საზოგადოებას.

ჩვენ, ჩვენდა სამუშაოდ, დაწვრილებით არ ვიცით ზემოხსენებულ გარდა, რაში ვარგობდა ევ პორტო-ფრანკო. იქნება რაშიმე გამოსადგვი იყო ვისთვისმე. ხოლო თუ სახეში მივიდებოთ იმ გაჭირებას და შეწუხებას, რაც მის გამო ხადს ედგა, ვგონებ, საბუთი გვქონდეს სინარულით მივევებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მართლ სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისათვის. თვითონ ბათუმს იქნება მავით ცოტად თუ ბევრად იხიერა, მაგრამ ევ ხიერი საზოგადოების კისრიდამ იყო ამოდებული.

რაც შეეხება პოლიტიკას, ამაზედ კი ვიტყვი, რომ ევ თვალად უოვლად უმნიშვნელო ამბავი პორტო-ფრანკოს გაუქმებისა ცოტად თუ ბევრად შეამდგრევენ პოლიტიკის წმინდა წყალსა და არა გვგონია კი, რომ დიდი რამ გამოიწვიოს. პოლიტიკა ცოტად ოდნაც ავიღვილებება ჩადსავით

და ჩადსავითვე უმაღლ ჩაქრება. კბილ ჩასაკიდებელ საქმედ კი გადაქცევა, თუ გლადსტონი სამინისტროდამ გადადგა და საფუსებრიმ დაიჭირა მისი ადგილი. როგორდაც ვერ მოხდის დეპუტატი სახელოვანს გლადსტონს. დეპუტატი არჩევანი თაობაზედ მეტ ცუდ ამბებს მოეზიდებინ და ესეც ხომ ვიცით, რომ არჩევანზეა დამოკიდებული გლადსტონის სამინისტროს დღევრძელობა.

ახალი ამბავი

* ჩვენს ნიჭიერს მწერალს თ. რაფელ ერისთავს განუზრახავს რუსულ-ქართულის ლექსიკონის შედგენა. ეს ძალიან სასიამოვნო ამბავია მით უფრო, რომ ამ გვარი ლექსიკონი დიდი საქორებაა. ამას ამტკიცებს სხვათა-შორის ის გარემოებაც, რომ მესამედ შეესებული გამოცემა ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულის ლექსიკონისა, ძირელ ისეილება და პირველი ორი გამოცემა ეხლა ძირითად საშოვარი-ლანა.

ველეტონი

რაამდენიმე ლამაზი

(ხალხში გაგონილი მ. ნათაძისგან).

ქალ, კახეთს გავათხოვებენ, ქალმანი გინდა რკინისა, მოხვალ და მოგაგონდების, მოგკლავს სურვილი ღვიწისა.

ზღვაში კურდელი შეტურდა, თან მელა შეჭყვა ტივითა, გოგო, ევ შენი სურვილი მამარუნებს ხარატივითა.

ამონავალო ღრუბელი, გადამიტანე თანაო, მთას იქით საყვარელი მყავს, მიმავლე იმასთანაო.

შენ მანდიღან როგორ მხედავ ნისლისა და ბურისგანა, ან უჩემოდ როგორა სძლებ, მივირს შენის გულისგანა.

ჩამოვიარე ალევსა, ფერხული ებათ ქალებსა, ი ჩემის ცოდვით საესებმა ქურღობა დამბარალესა.

აი შენ კი გენაცვალე მაგ ყუყუნა თვალბშია, ამაღამ შენთან წამოვალ ამ მთავარიან ღამეშია.

ლიახვი მოდიდებულია, მტკვარი დასახნის ნანასა,

კოლი და შვილი გიცოცხლოს, ნათელ დაგიდგეს მამასა.

ამოდული, მოსე მღვდლო, შენ სჯობიხარ ზოლიკესა, საქმე კარგად მოიყვანე, ახლა რალა გატლინკებსა?

შენ კი გენაცვალე, მავალს გიგავს თვალბშია, მავალს თვალბში დაუდგება, მე შენ გეთაყვანებო.

ხელსახოცსა გადმოგიგდებ ოქრო-მკვდით მოქარგულსა, შიგ გაგიხევე ჩემსა გულსა, შენგნით დამწვარ-დადაგულსა.

მცხეთას ვიყიდე ბარები, იქვე დავასხი ტარები, თუ სიმღერები არ იცი, რატომ არ მომეხარები?

მალლა ისარე ავაგდე — აილურსა — ბაილურსა, შენ სიმღერაში ვერ დამკრავ, თავი გიგავს მამაუნსა!

შექამანი შენგელს კოკითი და პილილითა, როცა მე ჩემი გადამხდა, ახლა მოაქვთ ხინხილითა.

გადამავლე და დამკრავ, როგორც ჩერქეზმა ისარი, შენ ჩემ გულს ვეღარ მოიგებ, ჩემი სათქმელიც ის არი.

ვაი რა ბედი დავკარვე

გასათხოვარმა ქალმაო, ჩაქილა წყალმა წამართვა, შუბლის საკრავი ქარმაო.

ქალო, ევ რა შემოგიკრავს, შუბლი დაგიშვენებია, ჩემი გული კი მოგიკლავს, სხვისა ვაგიმთელებია.

IX საუკუნის ტაძრის ნაწილი „საბალოპელი“ (გულანი).

I

წარსულ 1885 წ. სექტემბერში ტფილისში შესდგა კომისია ბ. დ. ზ. ბაქრაძის თავს-მჯდომარეობით — ბ. ნ. მთავარელიშვილისა და ბ. თ. ქორღანასაგან — შესადგენად კატალოგისა იმ წიგნებისა, რომელნიც უგანათლებულესმა სამეგრელოს მთავრის შვილმა შემოსწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავს. ამ შემოწირულ წიგნებში ითვლება ზემოდ ხსენებული წიგნიც, რომლის გარჩევა და თვალის გადავლება მე მქონდა მონდობილი ხსენებულის კომისიისაგან. ეს ხელ-წიგრი ისრეთი შესანიშნავი განძია ქართველის ერის სატყევერებისათვის საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის, რომ მის მსგავსს ქართველი ბერს ვერ ნახავს თავის სამშობლოში. ბედნიერს შემთხვევას უნდა ემადლობდეთ მის შენახვისათვის და მარტო ამ ხელ-წიგრის შემოწირვით და ჩვენის საზოგადოებისათვის დასაკუთრებით უგანათლებულესის შემოწირველის სამე-

გრელოს მთავრის შვილის სახელი გასაუკუროებული იქმნება ჩვენს ქვეყანაში.

აი ჩემი ანგარიში მაგ „საგალობელზედ“: მთელი ხელ-წიგრი არის 272 ფურცელი, ანუ 544 გვერდი. თავი და ბოლო აკლია. სიგრძე აქვს ათი ვერსოკი, სიგანე — რვა. შეკრულია უბრალო ფიცრის ყდაში, მოყვითლო ტყავ-გადაკრული. ეს დღემდე შენახული ხელ-წიგრი (272 ფურცელი) მესამედ არ არის თავანდელის სრულის წიგნისა. ძველის ძველადგანვე იყო შემოღებული წიგნების რეველებად — ფორმებად (რვა რეველი, ე. ი. რვა ფურცელი) გადაწერა და ბოლოს ერთად აკინძვა; პირველი რეველის ბოლოს დანიშნული იყო ასო „ა“; მეორე რეველის თავსა და ბოლოს „ბ“; მესამე რეველის ბოლოს ასო „გ“ და სხ. ანბანის რიგზედ, რამდენი რეველი-საგანაც წიგნი შესდგებოდა. ეს ჩვენი ხელ-წიგრიც ჩვეულებისამებრ რეველებად (ფორმებად არის ნაწერი და დანიშნულია რეველების სათვალავი ასოებით. თითო რეველში არის 8 ფურცელი, ანუ 16 გვ ერთ უკანასკნელ ფურცელს ბოლოს არის რეველების სათვალავი **ОБ** — ობ, ამის შემდეგი რეველი აღარ არის, დანარჩენი სულ ამის წინარე რეველებია. ობ რეველი რომ რვაჯელ ავიღოთ, ანუ 78 X 8 მივიღებთ 604 ფურცელს, ანუ 1,208 გვ. აქედან დღემდე შენახულია 272 ფურცელი, ანუ 544 გვ. მაშასადამე 78 რეველამდე აკლია, 332 ფურცელი, ანუ 664 გვ.

ძნელია დაქვემდებარებით ეიზროთ — რამდენი რეველი უნდა აკლდეს, მაგრამ პარაკლიტონისა მხოლოდ რამდენიმე პირველი და უკანასკნელი ფურცლები (ხელ-წიგრის თავსა და ბოლოს, 357 გვ) გვაფიქრებინებს, რომ ამ წიგნს ერთი ამდენიც კიდევ უნდა აკლდეს, ე. ი. 156 რეველამდე უნდა ყოფილიყო მთელი წიგნი.

პარაკლიტონის, მარხენის, ზადიკის და სადღესასწაულოს ფურცლები ამ ხელ-წიგრის გვაგულისხმებინებენ (გულანადა *). მთლად წიგნი მშვენიერის გაკრულის ხუცურით არის ნაწერი. ასოთ-წყობა სომხურებრ კუთხეილია. საყურადღებოა, რომ ფურცლების დასასრულს აქა-იქა თითო-ორი სიტყვა სომხური ასოებით არის ნაწერი; კარგი იქნებოდა ამ სიტყვების მნიშვნელობის გაცემა თვით წიგნის ისტორიისთვისაც.

II

ხელ-წიგრი მთლად არე-დარევით არის აკინძული, სასურველია მისი ფურცლების რიგზედ ხელ-ახლა აკინძვა.

მასში არის ფურცლები საგალობლებ-საკითხავებისა შემდეგ თთებისა: ოქტომბრისა, ნოემბრისა, დეკემბრისა, იანვრისა და მარტისა, — ამ რიგად:

ოქტომბრის ფურცლებია 287 გვერდიდან — 307 გვერდამდე; ნოემბრისა 308-დან — 347-მდე.

დეკემბრის ფურცლების პირველი წყობა აკინძულია 348 — 356 გვერ.

* გულანი არის ვეფხისტყაოსნის საკითხავ-საგალობელთა კრები ერთ წიგნად.

* * ბნ მის. ნასიძეს შეუდგენია ქართულის ენის სახელმძღვანელო რუსთათვის. რუსთა-ზორის ბევრია მოწადინე ქართულის ენის შესწავლისა, მაგრამ სახელმძღვანელოს უქონლობის გამო ვერ შეუძლებლობით თავიანთი წაიღო. ბევრს ამათვის მასწავლებლები ჰყავს დაქირებულნი და ისე სწავლობს ენას. ამ სახელმძღვანელოს ბეჭდვას ამ დღეებში დაიწყობენო.

* * ამ უკანასკნელს ხანებში ძალიან გამრავლდნენ ტფილისის ქუჩებში მათხოვრები. თითქმის ყოველ ნაბიჯზედ შეხედებით მკლავ აკრულოს, კოკლს და ბრმა მათხოვარს; ხშირად შეხედებით თითქმის მთლად ტიტყვლა ბოზა დედა-კაცებს თავიანთის ყმაწვილებითა, რაც ძალიან სასიამოვნო არ არის თვალისათვის. კარგი იქნებოდა, რომ, როგორც რუსეთის სხვა ქალაქებში არის, დეარსებინათ ცალკე მათხოვართა თავ-შესაფარი და ამითი შეემცირებინათ გლახების რიცხვი, რომ ქუჩებში არ დატანტალებდნენ და ძალის ძალიად არ ართმევდნენ ხალხს მოწყალებას.

* * ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ, ვისიც მოვალეება, იმათი ყურადღება იმ გარემოებასა, რომ სოლოლაკის ხევის ერთს მხარეზე სახლები მეტად ცუდად, უგვემოდ არის დაშენებული, ერთი-მეორეზეა მიყრილი, ქუჩები ისეთი ვიწროებია, რომ ერთი კაცი ძლივს დაიარება და ამას გარდა ქურდობა და ცარცაც ხშირად ხდება ამ მხარესაო. ამავე ხევის მეორე მხარეზე, ამაღლების ეკლესიისაგან მიდის ესრედ-წოდებული კოჯრის გზა. ეს გზა არ არის განათ-

ბული და აგრეთვე დახრამული და ძნელად სასიარულოა კოჯორში მიმავალ ეტლითათვისაო.

* * კვირას, პეტრე-პავლობის დღეს ავლაბრის სასაფლაოს საყდარში დიდმა ხალხმა შეიყარა თავი. წირვის შემდეგ ქალაქის ხალხმა ჩვეულებისამებრ კახურს მიჰყო ხელი და თითქმის მთელი დღე გაისმოდა ზურნის ხმა და არლანის კიჟყინი.

* * ბევრს სახლის პატრონებს ნაგავი თურმე რიკეზე, ზვის მიედან ზედ გააქეთ და იქა სწევდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ადგილას ბევრი თივა სდგას გასასყიდი, დავრწმუნდებით, რომ დიდად საშიშია, როგორმე ნაპერწკალი არ გადაეარდეს და ცეცხლი არ გაჩნდეს.

* * 28 ივნისს, ავლაბარში, კახეთის მიედან ზე სამსახურ გარეშე მყოფის მოხელის ივანოვის სახლებში, საღამოს 8 საათზედ ივანოვის ქალი, ანნა, 20 წლისა, უეცრად ავად გამხდარა. ავად-მყოფობის მიზეზი მხოლოდ ექიმის მოხელის შემდეგ აჩვენაო, რომელიმე სთქვა, რომ ქალს თავი მოუწამლავსო. მოწამლულს მაშინვე შემწეობა აღმოუჩინეს. ქალს, როგორც ამბობენ, წუშუმის (საჩიკა) თავები გადუყლაპავს. (გაზ. „ახ. მიმობ.“)

* * 28 ივნისს, დილის 11 საათზედ, ავლაბარში უეცრად თოვლის წამალმა იფეთქა და არივ-დარივა კახეთისა და შამხორის ქუჩის მცხოვრებლები. აფეთქებასთან ერთად ჩამოქცა ტერ-აბრამოვის სახლები. ამ აღ-

გილას აფეთქებასთანვე პოლიციამ მოიყარა თავი და ხალხი მოგროვდა შამხორის ქუჩაზედ, სადაც ხსენებული უბედურება მოხდა. ნანგრევებიდან ერთი ვნ წლის მუშა გამოათრის ნანგრევად დამწვარი. ეს უბედურება ამ გვარად მომხდარა. ტერ-აბრამოვი თურმე ჩუმად თოვლის წამალს აკეთებს. თოვლის წამალი ეზოში უქმდება, სადაც მუშას იოსებ არუთინოვს დაეკრძალა უმუშავეთა. ასე ყოფილა ამ დღესაც, და აი უთუოდ ჩიბუხის მოწვევის დროს როგორმე მოახვედრა ნაპერწკალი ადვილად ასანთებს თოვლის წამალს, რომელიც უკვე რამდენიმე ფუთი ყოფილა შემზადებული. ამ აფეთქებით ზოგიერთის მეზობლის სახლებიც დაზიანდნენ. თვით დამნაშავე ტერ-აბრამოვი საღვთად მიეფარა და ევლარ იპოვნესო. (გაზ. „ახ. მიმობ.“)

* * ქართულ საღმრთო წიგნთ-საკითხავი კაბინეთი, რომელიც დაარსდა ქალაქ ტფილისს, ამ დღეებში აკურთხეს. წიგნთ-საკითხავის დარბაზში არის ყოველ გვარი საეკლესიო და საღმრთო წერილის წიგნები. დარბაზში შესვლა და კითხვა წიგნებისა შეუძლიან ყველა წოდების კაცს, მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმსარებელსა. წიგნ-საკითხავში შესვლისა და წიგნების კითხვისათვის არ არის დანიშნული არავითარი გადასახადი.

ეს წიგნ-საკითხავი იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, სემინარის პირ-და-პირ, ჩარკიანის წიგნის მაღაზიის უკან.

* * 27 ივნისს პოლიციის მე-9 ნაწილში პოლიციის მოხელეთ ქალაქის ექიმის მრეგლოვის თანდასწრებით გადააყრივნენ 3

ფუთამდე გაუქმებული და სახმარებლად გამოუსადეგარი ხილუელობა.

* * ამავე რიცხვს, პოლიციის მე-7 ნაწილში, პოლიციის ფარის-კაცმა ტიმოთე გოტმანმა დაიჭირა ბორჯომის კომანდის გაქცეული ფარის-კაცი ელვარდ ბარანენკო. გაქცეული ტფილისის კომანდანტიც გამოგობას გარდაცეს.

* * ამავე რიცხვს, პოლიციის 2-რე ნაწილში, დილის 11 საათზედ ელიოზოვის სახლებში, თავის დედასთან მცხოვრებელმა მოხელის შვილმა 14 გრუნდერის ქართულის პოლიციის ფარის კაცმა, თავის ნებთ პოლკში შესულმა, ნიკოლოზ ნიკოლაევმა რევოლვერით თავი მოიკლა.

* * ამავე რიცხვს ამირ-კავკასიის რეინის გზის კონდუქტორის მინაია მანფაიძეს სადგომი გაუტყენიათ და 120 მანათი მოუპარაუთ უუთოდგან.


* * ამ თვის 28 და 29 ეგზამენი იყო წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში. ჩვენ დავესწარით ამ ეგზამენებსა და შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ეს სამეურნეო სკოლა ერთი საუკეთესო სკოლაა და ძალიან კარგადაც არის მოწყობილი. ყმაწვილებს დიდი წარმატება გამოუჩინათ. ვისაც ბევრთად უსწავლია და გადავიდა შემდეგს განყოფილებაში, ჯილდოდ მიიღო ქართული საკითხავი წიგნი. ამ სკოლაზედ ხვალ დაწერილები მოვილაპარაკებთ.

* * ხაშშიდამა გეწერენ: „ხშირი წვიმებისაგან ბალახს და ყანას შამში მოყრია; დაბალ და მსუქან ადგილებში ყანები სინაირისა და სიმალისაგან დაწვა, მაგრამ წელს მაინც კარგს მოსავალს მოველით“.

* * იქიდანვე გვატყობინებენ: წვი-

მებისაგან გაიყვებულმა იორმა ჩვეულებრივი მსხვერპლი აიღო: სართი-ქალის ნემნესს უჯარმის გასავალთან ოთხი ცხენი დაურჩო, როცა ხაშმის ტყეში ფონზედ გადიოდა. თითონ ნემნეცი ცოცხალ-მკვდარი მოარჩინესა.

შეგდომის განწორება: კვირის მე-თარს წერილში, მეხუთე სვეტზე, თავიდან მეშვიდე სტრიქონზე, დაბეჭდილია: «თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად... უნდა იყოს: თვალნი ზე ზეცისა და ქვე ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად“...



ბუკს რომ სთვლან, თუ უნდათ უთხრან კარგა ბლამად მოსტყროთ, იმერეთში იტყვიან: «მოუყვანაპურეთა».

წერილი რამდამიის მიხარით *)
(ბნ გიორგი წერეთლის „საჩინოს“ გამო)

ბ. რედაქტორო ნება მიბოძეთ თქვენი პატიოსნად ცნობილის გაზ. «ივერიის» შემწეობით ვაცნობო ბ. გიორგი წერეთელს, მოთხრობა «საჩინო»-ს ავტორს, რომელიც იყენენ დაბეჭდილი გაზ. «ივერიაში» №122, 123, 130 და 131-ში ის შთაბეჭდილებანი რომელიც იქონიეს ზემო აღნიშნულს ნომრებში დაბეჭდილმა მოთხრობამ «საჩინო» მაგრამ

*) სიტყვა-სიტყვითა ვებეჭდეთ ამ საუარაღღებო წერილსა.

დასრულდა უკანასკნელი ფურცლები მოქალაქეთა ჩი — 111 ცე შორის იანერის ფურცლები უფრო კარგად და მთლად არის დაცული. იწყობიან 112 გვ. და თავდებიან 282 გვ. სულ 170 გვერდი. მარტისა მხოლოდ ერთი ფურცელია 283—284 გვერდებზე. პარაკლიტონი იწყობა 357 გვერდიდან; ბოლო პარაკლიტონისა მოქცეულია თავში 1—60 გვერდებ შორის.

მარტის ერთი ფურცელი—ხარების დღის საგალობლებით გვაფიქრებინებს მარხვანის არსებობას ერთად ამ ხელნაწერთან. წიგნის ფურცლები ვილაც უგუნურისაგან მეტად დამახინჯებულია დანით.

ხელნაწერი რომ მთლად შენახულიყო, და როგორც მკითხველი იხილავს, ესრე არ დაზარალებულიყო, მაშინ იგი ერთი-ორად ძვირფასი იქნებოდა; მაგრამ ამ ხელნაწერს თვისი ღირსება არ ეკარგება ჩვენ ქართველთათვის, რომელთათვისაც ორი გარემოება ხდის ფას-დაუღებელ საუნჯედ: 1) ისტორიულნი და ბიბლიოგრაფიულნი წარწერანი, სულ 21, და 2) სამგალობლო ნიშნები (ნოტი), რომლებითაც მთელი ხელნაწერის საგალობლები აღნიშნულ არიან.

აი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულნი წარწერანი *).

2) იქვე: „შეწვენიას დიდად სახიერისა და მთისათა მე-გადასტომან და ირად უდაბუბით ცხარეგუბუბან, დეგვათა სოფლისათა მიერ დასთქმულან და სიმძიმითა ბრალთა სიმძვავისათა დადგენებულან მიქელ მოდრეკილან ვიდეკე და უსეშთეს უდადურისა ძალისა ჩემისა შრომა-განკეკე და შეეკრიბნენ საგალობლები ესე წმ. ალდგამისანი, რომელნი ვპოუენ ენითა ქართველთაათა, მებურნი ბერძენნი და ქართუნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისაჲს სკეკეუსიამასა, უფალო დადად ყავითა ოსითითა, მოისილთა და აქებდითითა, ძლიერად სიწმიდით და სიამრთილთა, სისწორითა კილომასათა (МОТИВЪ) და უცთომელობითა ნიშნისათა“.

„ისილე მღვდელთა, დმერთ შეძისილო! კნისაჲ ესე ნამუშავეკი უნდათა სელთა ჩემთა! რაჲმს უშრომელად აღმოავსესა სდმრთოამას ამისგან წყაროამას, მოისესუე საწყალობელი სული ჩემი ქრისტეს საყუარელისათს, რათა თქვენცა ჭაოვით მადლი მოწყალებისა და სასუაღელი სიუყარელისა. რომელნი იავითსუდეთ, ისწავებდეთ, გინა თუ ისმენდეთ სიტყუათა ამათ ღუთივ სულიერათა საგალობელთა ღუთისათა, რომელი კურთსეულ არს უკუნიითი უკუნიასამდე იყავს.“

„უფალო წყალობით მოისესუე სული მამისა დაჯითისა, იოანესი, დაჯითისა, და წყალობა ყავ საწყალობელისა მიქელისთს“.

3) 41 გვ. „იესო ქრისტე, ადიდენ სულითა მიქელ. ამან.“

4) 43 გვ. „დაიდაჲ შენდა, ქრისტე! დაქსრულენეს შეწვენიას შენითა სძლის-პირნი, სრულნი ყოვლითა განგებითა სადიდებულად სასელისა შენისათს წმიდასა, რომელი კურთსეულ არს საუკუნითი და უკუნითი უკუნისამდე ამინ.“

5) იქვე: „იესო ქრისტე! მფლობელია! დასრულდა! მკრეხეთა ყოველთა წმიდათა მქნათა უმეტეს დიდე შენ მიერ ღირსად გვირგვინისანი უძღვეული მეფეთა მეფე დავით კუროპალატი და დასხენ ყოველნი მტერნი და წინააღმდეგმანი მუფობისა მათისანა ქვეშე ფარსათა მათთა უმღველითა ძალითა მგლავისა შენისათა, ამინ იყავს.“

ეს მე-5 წარწერა ნათელს ჰფენს საქართველოს ისტორიას: აქ ხსენებული დავით კუროპალატი მეფობდა 876—881 წწ. შორის. დავით ყველგან უფრო კუროპალატად იხსენება, და არა გვირგვინისან მუფედ, როგორც ამ წარწერაში. დღემდე ჩვენის ისტორიის მკვლევრთა აზრით, წოდებით «კუროპალატი» აღნიშნება დამოკიდებული ვიზანტიის იმპერიისა გამგებელი, ანუ ერისთავი. და 12 ათასის ჯარის კაცის მიწველებით დამვიდება ბარდა სკლეროსისა და ვიზანტიის იმპერიის დაცუა. თუ ეს წარწერა დავით დიდს კუროპალატს (+1001 წ.) შეეხება, მხოლოდ გვირგვინისან მეფეს შეეფერის და არა გამგებელს; მით უმეტეს, რომ ვიზანტიის იმპერატორი დავითსა სთხოვს შემწეობასა და არა უბრძანებს, როგორც მბრძანებელი თვის ხელ-ქვეითს.

6) 49 გვ. „საყვარელნო! უკეთო ერთსა სძლის პირსა შედა რომელიმე კილო ერთი ორ-გვარად იყოს აღნიშნულ, სუ უცხო გიქს, სუფა ურთიერთას წინააღმდეგობ, რამეთუ რომელიმე მწავლის ძლის პირისა ერთი კილო ორ-გვარად არს: მესურად, საჯლო შენ რომელი გინე—ბრძანე, რამეთუ ორნივე ჭეშმარიტ არს.“ (მიწერილია ორ სტრიქონად ასო-მთავრულით ფურცლის სიგრძეზედ).

ეს წარწერა, ჩემის აზრით, რასაკვირველია, ქართულის გალობის კილოს შეეხება, და ამ სახით უნდა ავხსნათ: ქართულ გალობას აქვს რვა ხმა აღდგომისა პარაკლიტონისაგან, განსხვავებული ერთი მეორისაგან. რუსულს და ბერძულ საეკლესიო გალობაში რომ პირველის სძლის პირის კილოს მისდევს შემდეგი სძლის პირების კილო, ქართულში ვერც არ არის: ერთი ხმის რვა სძლის პირში ერთ-კილოა არა სუფევს: პირველი სძლის პირი სხვა კილოზეა ავებული შინა-არის გვარად, მესამე სხვაზე და სხვ. შემდეგი; მაგ, რუსულში ღვთის-მშობლის სძლის პირნი—„ОТВЕРЖЕЧА МОЯ“ და სხვ. რომ სრულიად ერთ შეთანხმებულ კილოზე ივლო-ბებინან, ქართულში ავადე პირი ჩემი) და შემდეგი სძლის პირნი სრულიად ერთიერთმანეთისაგან განსხვავებულ კილოზე ივლობებინან, თუმცა კი შესაძლებელია, რომ „აღადე პირი ჩემი“-ს კილოზე ივლობებოდნენ შემდეგი სძლის პირებიც. ესევე ხასიათია შესანიშნი «სამწუხარო ძლის პირებში», „თვით ხმოვან“ ძლის პირებში, ტროპარებში და კონდაკებში. ამ წარწერით საფუძველი უმკიდრდება აწინდელს ჩვენს ქართულ საეკლესიო გალობის ერთი ხმის საგალობლების კილოს სხვა-და-სხვაობას. ჩემის ფიქრით, ეს წარწერა ღირს-სახსოვარია და შემდეგში უყურადღებოდ არ ჩაივლის ქართულის გალობის ისტორიისათვის. მე შემხედნენ ხელნაწერში სამგალობლო ნიშნებით აქრელებულნი შემდეგი საგალობლები, რომელთაც მე ევლობ:

- ბ) ასაღ წლისა,
 - გ) შობისა,
 - დ) ამაღლებისა,
 - ე) სულის წმ. მოსვლისა,
 - ვ) ღვთის მშობლისა.
 - ა) „წარსდა სასე“
 - ბ) „დაეს ქრისტე იშვილის“ } ბ ხმა.
 - გ) „ამისაგან მობილა“
 - დ) „ქა დაიბუღი“
 - ე) „რომელი იყო დაქადაგ მუჟისა“ დ ხმა.
 - ვ) „განმადიერენ მოსაგნი შენი“ ე ხმა და სხვ.
- საკვირველია, რომ ამ საგალობელთა ტექსტს სრულიად ეთანხმება აწინდელს ტექსტს. როდესაც სამგალობლო ნიშნებზედ შევთანხმდებოდნენ ჩემი კილო, შევნიშნე ორი სასიამოვნო გარემოება: ა) რა ხმაზედაც ჩემს კილოში ტრიალებს და გრძელდება ხმა, იმ ხმაზედვე უსხვდს ზვიდან, ანუ ქვეიდან კილოს აღმნიშნული ნიშნები; ბ) სადაც ჩემს კილოში კილო წყდება, ანუ სასვენია (пауза), ზემოდ აღნიშნულ საგალობლებშიაც ეგვევ სასვენნი აღნიშნულია ნიშნით(.), რაიცა დღემდე ხმა-რებაშია ძველადგანვე ხელნაწერ და დაბეჭდილ საეკლესიო წიგნებში. ამ სახით ეს ხელნაწერი აუარებელ მასალას აძლევს კარგ მკვლევარს ქართულის გალობის, ანუ სიმღერის ხასიათის შესასწავლელად და შესადარებლად აწინდელ გალობისა და სიმღერისასთან. მე წინათვე აღვიარებ სიამოვნებით ალტაცებული, რომ ამ ხელნაწერის მეცნიერული გამოკვლევა ქართულ საეკლესიო და საერო ხმებს აღუდგენს ახალ ოქროს საუკუნეს.

7) 64 გვ. „ქრისტე შეიწყალებ სტეფანე“.

მოს სუთს საათზე 168 აღმომჩვევლობა-
გან, რომელიც მოსკოვის დროს სრუ-
ლიად ფრანგული იყვნენ, ოცი, თუ ოც-და-
ათი-ლა დარჩა ფრანგული. სვამდნენ და
ასმევდნენ, არაის არ არიდებდნენ, —სა-
მიკონოც იქვე ახლო იყო იმათ ზღვრულ-
კალამი ვერ აღწერს, რა ამბავი იყო
საარჩევნო დარბაზში! ყვირილი, ღრია-
ლი, ხმაურობა; ბევრს მაგარს სიტყვებს
უთვლიდნენ თვით თავს-მფლობარეს, მა-
გრამ ეს ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს
არც ეს ესმისო. ზოგი ყვიროდა: „ამას
და ამას უყარეთ კეჩეო“. „არა! არ
გვინდა!“ გაიძახინა სხვები. არწმუნებენ
განვლებულებს, რომ უნდა კენჭი ყუ-
როთ, მოკლეთა ესეაო, მაგრამ ისინი
თავისაზე იდგნენ: «არ გვინდა და არაო!»
თავს-მფლობარის სტოლოთნ მივიდა ფრ-
ფატი ვილაც ვაჭარი, სტოლს მაგრად
მუშტი დაარტყა და წამოიყვარა: „არჩე-
ვანი უკანონოა, რადგანაც ყველანი მოგრა-
ლები არიანო.“ — „შენ თვითონა ხარ
მოგრალო!“ უყვირის ხალხის. „ჰო, მეც
მოგრალო ვარ!“ წამოიღულულუა თურმე
ვაჭარმა.

იმას ხომ თქმა ადარ უნდა, რომ
გამხარულებულნი აღმომჩვეველ-
ნი საუკუნოვად გადასწვებდნენ
საზოგადო საქმეებსა!..

* *

გაზეთ „Варшавский Дневник“-
ში იბეჭდება წერილები, რომელ-
შიაც ავტორი სწივის, რომ გალი-
ცია ურიების წყალობით დიდს
გაჭირვებაშია ჩავარდნილიო. თი-
თქმის მთელი მხარე ურიებმა ჩაი-
გდეს ხელში და ვინ იცის, კიდევ
როდისმე ედირება ამ ქვეყნას ამათ
კლანჭებიდამ თავის დახსნაო.

ჩენი მშვენიერი საძოვარი მთები ნა-
ხევარზედ ურიებისა, ჰოლოლის უეფოსი
მამულები ან იმათ ხელში ან აუარებელ
გალებშია ჩავარდნილიო. ეს სულ იმის
შედეგია, რომ ურიებს ოცის წლის გან-
მავლობაში თანასწორი უფლება ჰქონდათ
სხვა ქვეყნებდომებთანაო. შიშით ვუძე-
როთ აღმოსავლეთს და ვაძრუნებთ, რომ
რუსეთიც ურიებმა არ ჩაიგდონ ხელშიო.
თვითონ ურიები მტყიცედ არიან ამაში
დარწმუნებულნი და ამბობენ: «პეტერბურ-
გი, მოსკოვი და კიევი ისევე ურიების
ქალაქებად გარდაიქცევიან, როგორც მ-
ნა, პერლინი და ჰამბურგიაო».

ურიები ახირებულის აზრისა
ყოფილან, თუ მართალია, რასაც
წერილების ავტორი ამბობს. «ფუ-
ლით და ჭკუით შეპყრობა ადვი-
ლია, —ამბობენ თურმე ურიები.»

დებემა

28 ივნისს
სსსსსს. დღეს დადი მთავარა გლა-
დამარ ალექსანდრეს მე მეუღლ-
ოკრთ წაბანდა ცდოვს.
ლონდონი. «Times»-ი ბათუმის
ზორტა-ჭრანკას გაუქმების გამო, ამ-
ბობს: თუქც ამ საქმეს ისეთი დი-
დი მნიშვნელობა არა აქვს, რომ დადი
შუღლი და უთანხმოება ჩამოაგდოს,
მაგრამ მინც რუსეთის მიერ ნახმა-
რა საშუალება ისეთია, რომ ინგლი-
სიც იძულებული იქნება რამე დანე
მიადოს. ამიტომ დღეიდან ინგლი-
სიც თავისუფალია მოკლუბისა-
გან და შეუძლიან ომსაღეთის წელე-
ბი შეჭრას სამხედრო გეგმებისათვი-
სნაო.

29 ივნისს

კამბრბურბი. გამოცხადებულა
უმაღლესი ბრძანება, რომ გაუქმდეს
ნ ივლისიდან ბათუმის ზორტა-ჭრან-
კაო. ამ უცხო ქვეყნების საქონლი-
სთვის, რომელიც ამ ვადამდე ისევ
ბათუმის ზორტა-ჭრანკასა და ზორ-
ტაში იქნება, ბაჟს არ გადასდევნი-
ბუნა. მიეცეთ ნება ბათუმის ვაჭ-
რებს, რომ რაც უცხო ქვეყნების სა-
ქონელი აქვთ განხილვას მალათ დასა-
დამდეგად, წარუდგინონ საბაჟოს
მოხელეებს, რათა ნ აკვისტადე
დამა დასვან, ტყვეა გაუკეთონ და
ბანდოლია გადაკანონა. ის საქონე-
ლი, რომელიც ნ აკვისტადე არ
იქმნება წარდგინილი მოხელეთა წი-
ნაზე, განტანანდად იქმნას ცნობი-
ლია. გაუქმდეს ზორტა-ჭრანკას
განუქმება ნ აკვისტადემ რაც საბა-
ჟო საყანაულებიაო. მიეცეს ნება
წინანსთა მინისტრს, რომ ზორტა-
ჭრანკას გაუქმების შემდეგ სამის
თთვის განმავლობაში განათავსო-
ვლას ბაჟსაგან უცხოეთიდან ბათუ-
მის ზორტაში შემოტანილი საქონე-
ლი და ეოველ გვანა შედგანთა ად-
მოქმინოს ხელზე ამ შემთხვევაში,
უკეთუ ამანათვის შესწინანებულა
მაზეხა ადმინისტრაცია.

გუშინ მოხდა ეირომიდამ ზა-
გლავსკა დადი მთავარა განსტანტი-
ნე ნაკლავის მე.

ბალნინგორსი. გუშინ ხაღამს
საიმპერატორა ესკადრა წავიდა გა-
ნგვადამ კრანსტადს.

ბუქარესტი. ვენგრულის გასეთე-
ბის მიერ დაბეჭდილი ამბავი, ვი-
თამ აქ მოხუდავგენ რუსან აფი-
ცრება, რათა შეეკრათ რუმინანს-
თან კონვენცია ჯანის გაცრებაზე თა-
ვისუფლად რუმინაში სამხედრო
ოკუპაციისთვის; უსაფუძლად ამბა-
ვანაო.

საქალაქთა ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუვ (1886) წელიწადი.
ქვეყნის შექმნილამ 7394.
ბეელი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უოლ—478
წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მე—42 წე-
ლიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება
2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

1 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. კოსმასი
და დამიანესი. ფრანგ. სემიონისა, იულიანის
და ბოგულაფასი, სომეხ. წმ. დანიელ წი-
ნასწარმეტყველისა და სამათ ყრმათა. მუსულ-
მე-11 რიცხვი შეგვლის თვისა 1303 ჰი-
ჯრისა. მოვარე 13 დღისაა. ქვემარტი
შუა-დღე 12—5—28; ტფილისში მზე ამო-
დის 4—36, ჩადის 7—35; მოვარე ამოდის
5—31, ჩადის 2—14.

2 დღე ოთხშაბათი. პოპს სამოსლი-
სა ყოვლად წმ. დიონის-მშობლის ა. ფრანგ.
წმიდა მღვთი-მშობლის ეგვლესიაში მიბრძა-
ნება, ეპისკოპ. ოტტონისა და მარტინიანისა.
სომეხ. ნახატონაქი. ქვემარტი შუა-დღე
12—5—34. ტფილისში მზე ამოდის 4—37,
ჩადის 7—35; მოვარე ამოდის 6—12, ჩა-
დის 5—59.

3 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. იაკინ-
თისი. ფრანგ. ეპისკოპოსთა გელიოდორისა
და ანატოლიასი, და კამელიასი, სომეხ. წმ.
მთარგმნელ სომეხთა: სააკისა და მესროპისა.

ქვემარტი შუა-დღე 12—5—41. ტფილის-
ში მზე ამოდის 4—37, ჩადის 7—34; მოვარ-
ე ამოდის 7—2, ჩადის 3—48.

ბათუმის ცნობანი

1 ივნისიდან 1-ლი ივლისამდე.
თეთრი შური რუსული 1 გირ. : ნ კან.
წითელი შური 1-ის გარისისა . 2 1/2 >
> > 2 > > 2 >
თინის წითელი შური 1-ის სარის. 4 1/2 >
> > 2— > 3 >
> > 3 > 2 1/2 >
ჯვარის მამის შურის ღაცაში
1-ლის სარისისა . 4 1/2 >
მე-2 სარისისა . 3 1/2 >
მე-3 — . 3 >
ძროხის სორტი 1-ლის სარისისა. 8 >
< > 2 > 7 >
სუკა . . . 14 >
ცხვრის სორტი . . . 7 >

მიმოსვლა ტყეზლის გემებისა შავს
ზღვანზედ.

ბათუმიდან გადის: ოთხშაბათობით 4
ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარ-
ტო ნოვოროსისკის და კერწმი შეივლის-
შორის გზით შაბათობით 8 საათ. სა-
დამოხე (ველას ნავთ-სადგურებში შეი-
ვლის).

გვირგობით საღამოთა სტამბოლად-
მიდის.
ბათუმიში მოდის ოდესიდან: სამშაბათ-
ობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლე
გზით—დღლით.
შაბათობით სტამბოლიდან მოდის დი-
ლით.

ინგლისის მალაჩია

ანწრუნისეულს გალერეაში მიიღო
ჩაი, რევილუერები და კრებატები.
ისყიდება ძალიან იათად. (10—4)

ერმათა საკითხები უქრანდა
შედეგადღეობის და მბობებით მბობებთანა
გზრდელთათვის.
1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნი, 17 № (10
წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში მანათი, ქალაქს გარეთ
ვაგზანით მ მან. და ათი შაური. ათი შაური შეი-
ლება მარკებით გამოგზავნის. ადრეები: Тифлис.
А. С. Гуляев, Соллаки Рейлинская, 7.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

და ი ბ ე ქ და
რობინზონ კრუზო, თხზულება
დეფოსი, თარგმანი რუსულიდან
ანასტასიას თუმანიშვილისა. გამო-
ცემა „წერა-კითხვის გამავრცელებ-
ელის საზოგადოებისა.“

შასი მამისი შაური
საწყობი წიგნისა არის წერა-კი-
თხვის გამავრცელებელის საზოგა-
დოების განცხადებაში, ბანკის ქუ-
ჩაზე (Банковский переулок), სახ-
ლის № 23. ისყიდება ტფილისში:
გრიტუროვისა და ჩარკვიანის წიგნ-
თა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა
ჭილაძეების და ხონში—ნესტორ
წერეთლის წიგნთა მაღაზიებში.
ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით
საზოგადოების განცხადებაში არა
ნაკლებ 10 ცალითა, იმას დაეთმობა
წიგნი სუთ შაურად. (10—5)

ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა
ქილილა და ღამანა
მეფის მახანა VI სა
გრაფალ გურაელის გამოცემა
ილია ქყონიას რედაქციით.
შასი სამი მანათი.
საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზო-
გადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковский переулок),
№ 23. ისყიდება ტფილისში: გრიტუროვის და ჩარკვიანის წიგნთა
მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში;
ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—
რაყდენ წულუწაევანთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით
საზოგადოების სამმართველოში არა ნაკლებ 20 ცალითა, იმას
დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქარველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და იხილება თბილისში გრიტუროვის და
ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ვილაძის მაღა-
ზიაში:

პასუხები

სამარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არხეოლოგიუ-
რის და ისტორიულის ცნობებით

დამიტრა ზ. ბაქრაძის მიერ.
ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტიო.
შედეგნილი და დასტული ქვეყნად ნ. ი. წილანისაგან, და ამოჭრი-
ლი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი,
ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა);
მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და მისი ქარტებზე (ბროსესის); მე-
სამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და ქართლის ცხო-
ვრებისა ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი
და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე,
ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიუ-
ლის ცნობებისა, რომელიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთა გავლენას
ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანი და შინაგანი (სხვა-და-
სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელიც
არაინ აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავ-
ლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.).
აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესა-
ნიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს
ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზო-
გადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურ-
ით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-
ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნების დანაწილებას
ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის
ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს
გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტო-
რია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-
კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა
ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერ-
ლობის ნიმუშებისა ძველის დროდამდე ისე, რომ მკითხველმა ყვე-
ლა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გა-
მოცემა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის სა-
ქართველოსა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის
შთამომავლობით და ქარტიო და სრულის აღფაბეტიო გამოიცე-
მა 1887 წელს. (20—8)